ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 435

"29" დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი №21-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I კვარტალის კორპუს №21-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის №20.1492.1834 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I კვარტალის კორპუს №21-ში, მე-9 სართულზე, ბინა №35-ში შენობა №1-ში, მდებარე 86.82 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: №01.17.07.031.004.01.035) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე თამარი ლეკიაშვილისთვის (პ/ნ: 01017000993) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე